ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] **დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [x] **საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [x] **საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ავთანდილ აბდუშელიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ლელა ფიცხელაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მისიაა:

მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეების მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. სკოლის მიზანია აღზარდოს მაღალი აკადემიური განათლების, ანალიტიკურად მოაზროვნე, მოტივირებული, კანონმორჩილი, ტოლერანტი, მრავალმხრივად განვითარებული პიროვნება, რომელიც შეძლებს როგორც სხვისი, ისე საკუთარი კულტურის წარმოჩენას, მიიღებს დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებულ, ხარისხიან, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებულ განათლებას, შეიტანს საკუთარ წვლილს საზოგადოების წინსვლასა და საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

მისიიდან გამომდინარე, შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმმა განსაზღვრა და შეიმუშავა ძირითადი ამოცანები და პრინციპები:

- სკოლის არსებობის პერიოდში შექმნილი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს სრულყოფა-შენარჩუნება;
- სხვადასხვა უცხო ენის სწავლება (ინგლისური ენა, რუსული ენა, თურქული ენა) დამატებითი სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, ინოვაციური პედაგოგიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით პროგრამული მასალის გაფართოება, მოსწავლეების უზრუნველყოფა ხარისხიანი განათლებით;
- მრავალფეროვანი სოციუმისა და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსწავლეთა წარმომადგენლების პირობებში ადაპტირებული სკოლის პრინციპებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება. დასახული მიზნის მიღწევა;
- ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ცოდნის, როგორც მნიშნელოვანი რესურსის გამოყენება;
- საკუთარი ინდივიდუალურობის, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა;
- სასწავლო და სოციალურ პროექტებში მონაწილეობა;
- თავისუფალი დროის რაციონალურად და საინტერესოდ გამოყენება;
- მოსწავლის ფსიქოლოგიური კომფორტი, პირადი უსაფრთხოება, სასკოლო ცხოვრების წესის დაცვა;
- განათლების მაღალი აკადემიური დონე.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი და 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 8 სექტემბრის № 1 სხდომის დადგენილებით.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- სასწავლო კალენდარი;
- სასკოლო საათობრივი ბადე;
- სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
- საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ინკლუზიური განათლება;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა სკოლაში **ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიები**- II, III, IV, VII,VIII,IX,X კლასებში ისწავლება, როგორც დამატებითი ფაკულტატური საგანი; **საბუნებისმეტყველო საგნები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და მათემატიკა ისწავლება ინგლისურ ენაზე** (VII–X) კლასებში საშაბათო სკოლაში, სადაც მოსწავლეებს სთავაზობენ დამატებით (ნებაყოფლობით) საგანმანათლებლო მომსახურეობას. III-XII კლასებში - მეორე უცხო ენა / რუსულ ენას ეთმობა - 2-2 საათი; **თურქული ენა** ისწავლება III კლასიდან IX კლასის ჩათვლით, როგორც ფაკულტატური საგანი. სწავლების მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია, ძირითადი ყურადღება ექცევა შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას. საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან არჩეულია 4 სახეობა: კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. **არჩევითი საგანია:** X, XI, XII კლასებში-თურქული ენა.

სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გაწერილია: სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, კლასის დამრიგებლის მოვალეობანი, დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის, საშუალო საფეხურის, სადამრიგებლო პროგრამის სარეკომენდაციო თემატიკა კლასების მიხედვით. დამრიგებლები მუშაობის პროცესში იყენებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს. საათობრივი ბადით გათვალისწინებულია ყოველკვირეული ერთსაათიანი დატვირთვა სადამრიგებლო საათის სახით სწავლების ყველა საფეხურზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის მისიით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმებით;
- კათედრის სხდომის ოქმებით;
- სკოლის ვებგვერდით;
- საკლასო ჟურნალითა და გაკვეთილების ცხრილით;
- ინტერვიურებით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი **საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული** სასწავლო **გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

შეფასება:

სასკოლო საასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა:
1. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრა. კათედრა აერთიანებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს. 2. **უცხოური ენების კათედრა.** აერთიანებს ინგლისური ენის, თურქული ენისა და რუსული ენის მასწავლებლებს 3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა.** აერთიანებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლების, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნებს. 4. **დაწყებითი საფეხურის კათედრა.** აერთიანებს დაწყებითი (I-IV) კლასის მასწავლებლებს (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება). 5. **მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა.** აერთიანებს მათემატიკის და ისტ-ის საგნის მასწავლებლებს. 6. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.** აერთიანებს ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების საგნის მასწავლებლებს. 7. **სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.** აერთიანებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ცეკვის, სპორტის, მუსიკისა და ჭადრაკის მასწავლებლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის დებულების მე-7 მუხლში გაწერილია კათედრის საქმიანობის მიმართულებები - გამოცდილების გაზიარება, სახელმძღვანელოების შერჩევა, პროფესიული განვითარება და ვალდებულებები, შეფასების ღონისძიებების დაგეგმვა, ახალი მიდგომები, საერთო ღონისძიებები. ასევე კათედრის დებულების მიღება/ცვლილების შეტანა, კათედრაზე გასათვალისწინებელი საკითხები, კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, კათედრის დოკუმენტაცია. ინტერვიუებიდან და სკოლის დოკუმენტებით ირკვევა, რომ პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზირების პრაქტიკა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენას წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად; მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა განხორციელდება დირექციის მეთვალყურეობით; დაწესებულებამ წარმოადგინა შემაჯამებლი დავალების ანალიზის ფორმა, რომელშიც გაწერილია შემდეგი მონაცემები: კლასი, საგანი, თარიღი, თემა, სტანდარტის ნომერი, ინდიკატორი, მოსწავლეთა რაოდენობა, თუ რამდენმა მოსწავლემ რა ქულა მიიღო, პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზები/რეკომენდაციები.
სკოლაში ყველა საგნისა და კლასის მიხედვით კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები და სქემები. ასევე შემუშავებულია შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა, შერჩევითი წესით შემოწმდა რამდენიმე პედაგოგის, სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საქაღალდეები, რომელშიც მოცემული იყო შემაჯამებელი დავალების ტესტი, მოსწავლის მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნიმუშები, შეფასების სქემა, ესგ-ს მისაღწევი შედეგები, თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული ქულა, მასწავლებლის ანალიზი და ზოგადი რეკომენდაციები.
<u>რიგ ნამუშევრებში არ იყო მითითებული შემაჯამებელი დავალების რიგითობა და შესრულების თარიღი. ამ უკანასკნელ შენიშვნაზე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი</u>. ასევე აღსანიშნავია, რომ შემაჯამებელ დავალებებს პირველი სემესტრის განმავლობაში მხოლოდ ტესტური სახე ჰქონდა. მას შემდეგ, რაც სკოლამ თებერვლის თვეში გაიარა მონიტორინგი, გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და შემაჯამებლების როგორც ტიპი, ასევე ფორმატი შესაბამისობაში მოიყვანა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.
ამასთანავე, პედაგოგებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ თითოეული მათგანი საკმაოდ დიდ დროს უთმობს შემაჯამებელი დავალების ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე ვერ გავიდა სასურველ შედეგზე, პედაგოგი მუშაობს მასთან ინდივიდუალურად ან მსგავს დავალებას აკეთებინებს კლასში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.
სკოლა დაწყებითი კლასების (I-IVკლ) მოსწავლეებს, სავალდებულო საგაკვეთილო მეცადინეობების შემდეგ, სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურეობას გახანგრძლივებული ჯგუფის სახით. გახანგრძლივებულ ჯგუფში მოსწავლეები პედაგოგის მეთვალყურეობით ანმტკიცებენ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას. სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო წლის დაწყებამდე აცნობებს მშობელს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო ან სპორტული მომსახურების შესახებ. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მომსახურეობას წრეების სახით: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ჭადრაკი, მუსიკა, ცეკვა. ასევე ფუნქციონირებს ლიტერატურული სალონი "ქიმერიონი", ინგლისურენოვანი კინოკლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი "პლურალიზმის პოლიფონია", ნორჩ მკითხველთა კლუბი "ასფურცელა". სპორტული სექციები: ტანვარჯიში, კალათბურთი, ფარიკაობა და ფრენბურთი. სკოლაში არსებობს ფეხბურთის და მაგიდის ჩოგბურთის გუნდები. I, II კლასებში მოსწავლეებს სთავაზობენ ტანვარჯიშის წრეს.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ჭადრაკის სასწავლო ორწლიან პროგრამას. II და III კლასში მოსწავლეები სწავლობენ თამაშს, ყურადღება მახვილდება საჭადრაკო პრაქტიკასა და ამოცანებზე. მოსწავლეს რომელსაც სურს დაოსტატდეს სპორტის ამ სახეობაში, სკოლა საშუალებას აძლევს, დამატებითი მომზადება გაიაროს (IV-V-VI კლასებში) ჭადრაკის წრეზე.

სკოლაში, მე-7-დან მე-10 კლასების მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებს „საშაბათო სკოლა", რომლის პროგრამა მოიცავს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში დამატებით მეცადინეობებს ინგლისურ ენაზე. პროგრამა ასევე გულისხმობს საოლიმპიადო მეცადინეობებს შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ქართული ენა, უცხო ენები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სამოქალაქო განათლება და ისტორია-გეოგრაფია. მოსწავლეები ემზადებიან როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

სკოლაში სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლება. გაკვეთილების ხანგრძლივობა პირველ კლასებში განისაზღვრება 35 წუთით, ხოლო სხვა დანარჩენი კლასებისათვის 45 წუთით, დასვენება – 5/10 წუთით, დიდი დასვენება –25 წუთით. სურვილის შემთხვევაში სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს კვებით.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- კათედრის დებულებით;
- შემაჯამებელი დავალებებით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური განათლება. სასკოლო სასწავლო გეგმის ზემოაღნიშნული ნაწილი თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლას ამ ეტაპზე არ ერიცხება სსსმ მოსწავლე, მაგრამ შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტი და გამოთქვავს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული მომსახურეობა. შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები - აღნიშნულ წესში განსაზღვრულია ის მექანიზმები, რის მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში.

ყველა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული აქტივობების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მიდგომების, მეთოდებისა და საჭირო რესურსების დადგენის მიზნით, ჩატარებული ინტერვიუებით პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და დირექციის წარმომადგენლებთან, ასევე გაკვეთილის გეგმებითა და ჩატარებული მუშაობის ანგარიშებით დადგინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს, პრეზენტაციებს, დისკუსია-დებატებს; პროექტებით სწავლებას. სკოლაში ხდება ნიჭიერი და დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა გამოვლენა, რის შედეგადაც მათთვის (საოლიმპიადე ჯგუფების მოსამზადებლად ან გაცდენილი მასალის აღსადგენად) ტარდება დამატებითი გაკვეთილები კლასების მიხედვით.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით;

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:
სკოლის შეფასების სისტემა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სტრატეგია. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა თითოეულ საგანში; გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების ფორმები; სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა; დამატებით სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები;
სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მცირერიცხოვანი ჯგუფები საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოსწავლის აკადემიური მოსწრება შეაფასოს ხშირად, მიმართოს განმავითარებელი შეფასების ფორმებს, მისცეს მოსწავლეს ზოგადი და კონკრეტული რჩევა-დარიგებები. განმავითარებელი შეფასების ნიმუშები და მოსწავლეთა დახასიათებები, როგორც სემესტრული, ასევე წლიური ინახება დამრიგებლის საქაღალდეებში.
პედაგოგებთან და მშობლებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ მშობლისა და პედაგოგის ძირითადი საკომუნიკაცო საშუალება, გარდა სატელეფონო და სოციალური ქსელით კონტაქტისა, არის ელექტრონული ჟურნალი. <u>რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს მშობლების უმრავლესობა არ იცნობს მათ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უფრო გამჭირვალე გახადოს მოსწავლეთა შეფასების პროცესი.</u>

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმით;
- დამრიგებლების საქაღალდეებით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით, მშობელი ჩართულია სასწავლო პროცესში. მათთან ურთიერთობისათვის გამოიყენება: ინფორმაციის მიწოდება წერილობით; ინფორმაციის მიწოდება ტელეფონით; ინდივიდუალური შეხვედრები; მშობელთა კრებები; ელექტრონული ჟურნალი; ღია გაკვეთილებზე მოწვევა; ვიზიტი ოჯახებში; ექსკურსიები.
მშობელთა კრებები ტარდება სემესტრში 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში ინიშნება რიგგარეშე შეხვედრები ინდივიდუალურად მშობლებთან. მშობელთა კრებებზე პედაგოგი საუბრობს ზოგად საკითხებზე, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მშობელს მიეწოდება ინდივიდუალურად. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სკოლას, ოჯახსა და მოსწავლეს შორის ჰარმონიული დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და ურთიერთანამშრომლობას. ამ მიზნით პედაგოგები ხშირად სტუმრობენ მშობლებს ოჯახში. დირექციის ხელშეწყობით პერიოდულად ტარდება პიკნიკები. მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ღონისძიებებში.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

დასტურდება:

- მშობელთან ურთიერთობის დებულებით;
- სკოლის ვებ-გვერდით;
- ელ-ჟურნალით;
- ინტერვიურებით;

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, გამოყოფილი ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც მონიტორინგს უწევს სკოლაში მიმდინარე პროცესების ხარისხობრივ მაჩვენებელს. სასწავლო პროცესის კვლევა/გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად მიმდინარეობს მოსწავლეების , პედაგოგებისა და მშობლების გამოკითხვები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულების ადმინისტრაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის თვითშეფასებიდან და წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი. ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, აზრების ურთიერთგაზიარება. შიდასასკოლო მონიტორინგი ხორციელდება: კათედრის ხელმძღვანელის საქმიანობაზე; თითოეული მასწავლებლის სწავლების პროცესზე; პედაგოგიური საბჭოს მუშაობაზე; სკოლის სააღმზრდელო პროცესზე; ესგ-ით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარის მიღწევაზე; მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების სტანდარტთან შესაბამისობაზე; სკოლის შენობის სანიტარულ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე;

სკოლის „SWOT" ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია სკოლის სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვასა და მის შემდგომ გაუმჯობესებას.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია
შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიურებით;
- მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების კითხვარების ანალიზით;
- კათედრის და მასწავლებლების პორტფოლიოებით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმებით;
- SWOT ანალიზით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს „ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი" მდებარეობს ქუთისში, ირაკლის აბაშიძის გამზირი №22-ში. დაწესებულება ფუნქციონირებს 3000.00 კვ.მ მიწის ფართობზე განთავსებულ ხუთსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართია 2439. 33 კვ.მ. შენობა გარემონტებულია და მისი როგორც ექსტერიერი, ასევე ინტერიერი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სკოლის სტანდარტებს.

პირველი სართულზე განთავსებულია: სკოლის ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, დირექტორის და ბუღალტრის სამუშო ოთახები, სამდივნო, სკოლის კაფეტერია და სპორტული დარბაზი. სკოლას შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე გაქირავებული აქვს ფართი მუსიკალურ სტუდიაზე და სპორტულ კლუბზე, რომლებიც აღნიშნული ფართით სარგებლობენ 16:00 საათის შემდეგ.

მეორე სართულზე განთავსებულია: 8 საკლასო ოთახი, დირექტორის მოადგილის სამუშაო კაბინეტი და სააქტო დარბაზი. მესამე სართულზე განთავსებულია: 10 საკლასო ოთახი (სხვადასხვა საგნის კაბინეტი) და სამასწავლებლო. მეოთხე სართულზე განთავსებულია: 9 საკლასო ოთახი, მათ შორის საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, სამოქალაქო განათლებისა და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოთახი. მეხუთე სართულზე განთავსებულია: ცეკვის დარბაზი, მოსამზადებელი ჯგუფის (სკოლამდელთა) აუდიტორიები და უცხოელი მასწავლებლებისთვის საცხოვრებელი სივრცე.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	ფართი (კვ.მ.)
1	ქუთისში, ირაკლის აბაშიძის გამზირი №22-ში	მიწის დაზუსტებული ფართობი: **3000.00 კვ.მ** შენობის საერთო ფართი **2439. 33 კვ.მ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 882009382130;
- შიდა აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

სკოლა-ლიცეუმში სულ 27 საკლასო ოთახი და კლასკაბინეტია, რომლებშიც განთავსებულია 360 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. დაწესებულების საწყობში ინახება 50 ერთეული ინდივიდუალური მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამით. ყველა საკლასო ოთახშია სასწავლო დაფა და მასწავლებლის მაგიდა. დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის მფლობელობაშია: ინდივიდუალური მერხი და სკამი ჯამში 410 ერთეული, 3 ჭკვიანი დაფა, 12 მაგნიტური დაფა, 34 ცარცის დაფა, 42 კომპიუტერი (მათ შორის 14 ლეპტოპი) მათგან ადმინისტრაციის სარგებლობაშია 5 პერსონალური კომპიუტერი, 1 კეისი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებისთვის, 17 პროექტორი, 11 პრინტერი, სხვადასხვა მიზნობრივი საგანმანათლებლო თვალსაჩინოებები, პლაკატები და რუკები.

დასტურდება:

- საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციით;
- ხელშეკრულებებით;
- მიღება-ჩაბარების აქტით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას სპორტის სახეობებად არჩეული აქვს მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი და ფრენბურთი. სკოლაში მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები ტარდება პირველ სართულზე არსებულ დერეფანში. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სკოლის ეზოს წინა და უკანა პერიმეტრზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გამოყოფილია სივრცე ფეხბურთის და ხელბურთის მოედნებისთვის. სკოლის მეხუთე სართულზე განთავსებულია დარბაზი ცეკვისთვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციით;
- შენობის აზომვითი ნახაზით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

დაწესებულებას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო აღჭურვილობა. შენობის მეოთხე სართულზე განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანები, არის ოთახის განიავების საშუალება.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ხელშეკრულებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შესაფერისი გარემო, საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების შესაძლებლობით, შენობის გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემით. <u>გამონაკლისს წარმოადგენს სპორტული დარბაზი, რომელშიც არ არის დამონტაჟებული გათბობის საშუალებები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ყველა სართულზე მოწყობილია სველი წერტილები, რომელთა საერთო რაოდენობა 16-ს შეადგენს, აქედან 1 ადაპტირებულია სსსმ მოსწავლისათვის. სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიისა და წყლის უწყვეტი მიწოდების სისტემებით.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, გარდა სპორტული დარბაზის გათბობისა.

დასტურდება:

- კომუნალური გადახდის ქვითრებით;
- ხელშეკრულებით სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიასთან";
- ხელშეკრულებით შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი";
- ხელშეკრულებით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია";
- ხელშეკრულებით შპს „ სადეზინფექციო ცენტრი ჰიგია+";
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. დაწესებულებას მფლობელობაში აქვს 2100 წიგნი, რომელიც მოიცავს, როგორც მხატვრულ და სამეცნიერო, ასევე გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკაში არის ანბანური საძიებო კატალოგი, შექმნილია დებულება და საინვენტარიზაციო წიგნი, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- საინვენტარიზაციო წიგნით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის შესასვლელში და სართულებზე გადასაადგილებლად დამონტაჟებულია პანდუსები, ამავდროულად გამოიყენება ლიფტი. ადაპტირებულია 1 სველი წერტილი, რომელიც მდებარეობს შენობის მეორე სართულზე. სკოლის მიერ გამოყოფილია რესურს ოთახი სსსმ მოსწავლისათვის.

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება ეტლით გადაადგილება.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლა-ლიცეუმის მეოთხე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული კაბინეტი ინტერნეტში ჩართული 17 კომპიუტერით. დაწესებულების საკლასო ოთახებში და საგნობრივ კაბინეტებში დამონტაჟებულია 17 პროექტორი და 3 ჭკვიანი დაფა. საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტისა და ვიზუალური დათვალიერების თანახმად საერთო ჯამში სკოლა ფლობს ინტერნეტში ჩართულ 42 კომპიუტერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

გაფორმებულია ხელშეკრულებები სს "სილქნეტთან" ინტერნეტ მომსახურების მიწოდების შესყიდვაზე, „კავკასუს ონლაინ"თან დომენული სახელის რეგისტრაციისა და შპს „მაგთიკომთან" ჰოსტინგ სერვისის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
დაწესებულების ვებგვერდი www.nns.ge. ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია დაწესებულების მისია, შინაგანაწესი და ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსის, მიმდინარე მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ.
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის facebook გვერდი და სკოლის ელექტრონული ფოსტა n.nikoladze2004@gmail.com

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

დასტურდება:

- კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- გადახდის ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- სს „სილქნეტთან" გაფორმებული ხელშეკრულებებით ინტერნეტის მიწოდების შესახებ;
- შპს „მაგთიკომთან " გაფორმებული ხელშეკრულებით ჰოსტინგის სერვისის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებ-გვერდით www.nns.ge.;
- ელექტრონული ფოსტით n.nikoladze2004@gmail.com;
- სკოლა-ლიცეუმის facebook გვერდით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

ა) დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დირექტორის ბრძანებით შექმნილია უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები - ბრძანება N6/127.

დაწესებულებას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ: თითოეული სართულისთვის არსებობს ცეცხლმაქრი (8 ერთეული)

ბ) დაწესებულების ხუთივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შექმნილია შესაბამისი სამსახურის მიერ.

გ) სამედიცინო დახმარების კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით განთავსებულია დაწესებულების პირველ სართულზე. პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ოთახში არის სამედიცინო ტახტი, ექიმის მაგიდა, დამონტაჟებულია ონკანი და სამედიცინო კარადაში განთავსებულია შესაბამისი მედიკამენტები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

დ) სკოლაში წესრიგს და მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ პედაგოგები მორიგეობის მეშვეობით. ამისათვის არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული პედაგოგთა მორიგეობის ცხრილი, რომელებიც გამოკრულია სკოლის დერეფნებში.

ე) სკოლაში დამონტაჟებულია 16 შიდა და 6 გარე ხედვის უსაფრთხოების კამერა, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლა აკმაყოფილებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემების პარამეტრების შესაბამის მოთხოვნას.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციით;
- ცეცხლმაქრების შეძენის ანგარიშფაქტურებით;
- შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული და დამტკიცებული ევაკუაციის გეგმებით;
- სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- კამერების შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:
სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული გეგმა, რომელშიც ასახულია სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული და მათი ურთიერთმიმართებანი.
სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, სკოლის დებულება,საქმისწარმოების დებულება, მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, კლასის დამრიგებლის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრის დებულება, რომელთა მეშვეობითაც იგეგმება და წარიმართება სკოლის საქმიანობა.

შინაგანაწესსა და სკოლის დებულებაში გაწერილია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, უსაფრთხოების ინსტუქციები, სკოლაში თანამშრომლის მიღება/აღრიცხვა, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის/შეტყობინების წესი, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხიმგებლობის ფორმები და სახდელები, მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვა, მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი, მოსწავლეთა უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები და მატერიალური პასუხიმგებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თითოეულ დებულებაში აღწერილია შემსრულებელი პირის საქმიანობის მიმართულებები: სკოლის დირექტორის, პედაგოგიური საბჭოს, ადმინისტრაციის, მასწავლებელთა, მშობელთა, მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები. სკოლის სტრუქტურული რგოლების თანამდებობრივი ინსტუქციები.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი დოკუმენტები.

დასტურდება:

- სკოლის წესდებით;
- სკოლის დებულებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- სკოლის საქმისწარმოების დებულებით;
- სტრუქტურული რგოლების, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაგეგმილი აქტივობების ანალიზის შედეგად, სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი (2017-2018) სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და ექვსწლიანი (2017-2023) სტრატეგიული განვითარების გეგმა. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმას და განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს 2017-2018 სასწავლო წლისათვის. მასში განხილულია ყველა ის სფერო, რა მიმართულებითაც სკოლა გეგმავს საქმიანობის წარმართვას მიმდინარე ერთი წლის განმავლობაში. გეგმაში განსაზღვრულია ჩასატარებელი ღონისძიებები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- 2017-2023 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- 2017–2018 სასწ.წ. სამოქმედო გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლაში მოქმედებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის სისტემა. სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების" ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს გამოცემული ან მომზადებული აქტების, ასევე შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და ნუმერაციის წესს.

დაწესებულებაში არის საერთო და საკადრო ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალები და სპეციალური საქაღალდეები, სადაც აღირიცხება გამოცემული აქტები, შემოსული და გასული კორესპონდენციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომების, კათედრების მუშაობის ოქმებისა და სხვა მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტები. აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება სპეციალურად შემუშავებულ ბლანკზე, რომელზეც მითითებულია სასწავლებლის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია
დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

დასტურდება:

- ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნებით;
- გატარების ნომრიანი დოკუმენტებითა და კორესპონდენციით;
  საქმის წარმოების პროცედურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

სკოლა-ლიცეუმში მუშაობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. 2017 წლის 25 აგვისტოს მონაცემებით დაწესებულებაში ირიცხებოდა 300 მოსწავლე, მათგან უკვე მიღებულია 40 პირველკლასელი. დაწესებულებაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს 40 პედაგოგი.
სკოლა-ლიცეუმის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინარულ კომიტეტს, საგნობრივ კათედრებს, მოსწავლეთა თვითმმართველობას.
სკოლის დირექციას წარმოადგენენ: დირექტორი, დირექტორის 3 მოადგილე, იურისტი, ხარისხის მენეჯერი და ბუღალტერი.
ადმინისტრაციული პერსონალია: მდივან-თარჯიმანი, ოპერატორი, IT მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ტექნიკის ხელოსანი, 4 დამლაგებელი, 3 დარაჯი და 2 საინფორმაციო ცენტრის კონსილტანტი.
სულ სკოლის კოლექტივი შეადგენს 59 თანამშრომელსგან (40 პედაგოგი, 19 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პირი).

სტანდარტი დაკმაყოფილებულია
სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

დასტურდება:

- საშტატო განრიგით;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლაში მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან და მათ პირად საქმეში არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულება ჩართულია მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში. დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს 24 უფროსი და 16 პრაქტიკოსი მასწავლებელი.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

დასტურდება:

- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- სკოლა-ლიცეუმის შინაგანაწესით;
- ბრძანებების წიგნით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის პედაგოგები და დირექციის წევრები სამსახურში მიიღებიან შინაგანაწესით დადგენილი წესით. პედაგოგის შერჩევის დროს ითვალისწინებენ განათლების ხარისხს, პედაგოგიურ გამოცდილებას, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. მიღებულ პირს აცნობენ დებულებას, წესდებას, შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს. მასთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც აღინიშნება თანამდებობა, ხელფასი, უფლებამოსილება და დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წესი. შინაგანაწესის თანახმად, დირექტორი უფლებამოსილია დაითხოვოს თანამშრომელი ხელშეკრულების ვადის გასვლის, შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან სხვა მიზეზით.

სკოლაში შემუშავებულია წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც გაწერილია შინაგანაწესში. სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

დისციპლინური გადაცდომისთვის, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
ე) სამსახურიდან გათავისუფლება.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- ბრძანებების წიგნით;
- ვებ-გვერდით: www.nns.ge

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის დირექტორს სკოლის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციის წევრებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები განუსაზღვრელი ვადით. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო, შრომის ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომითი ურთიერთობების გაწყვეტის წინაპირობა, დამატებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ვალდებულებები და მხარეთა რეკვიზიტები. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია და გატარებულია ხელშეკრულებათა აღრიცხვის ჟურნალში.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

დასტურდება:

- დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ხელშეკრულებათა აღრიცხვის ჟურნალით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის სამსახური. ხარისხის მენეჯერი უზრუნველყოფს დაწესებულების საჭიროებებიდან გამომდინარე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას და შესაბამისი სპეციალისტების მოწვევას. იგი ესწრება გაკვეთილებს, კათედრების სხდომებს, ატარებს მიზნობრივ შეხვედრებს, ინდივიდუალურად ხვდება მასწავლებლებს, უწევს კონსულტაციებს გაკვეთილზე გამოსაყენებელი შესაბამისი თანამედროვე მეთოდებისა და საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის საკითხების შესახებ. გაკვეთილებზე, განიხილავენ და აანალიზებენ ჩატარებულ აქტივობებს. ერთობლივად მსჯელობენ მიღებულ შედეგებზე და სახავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებს.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

დასტურდება:

- სკოლის დირექციასთან გასაუბრებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

ექსპერტთა მიერ სკოლაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლის სტრუქტურული ერთეულების, მატერიალური რესურსისა და ჩატარებული ღონისძიებების გაცნობის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია ცდილობს კეთილგანწყობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნას სასკოლო საზოგადოებაში. პასუხისმგებლობები გადანაწილებულია, როგორც დირექციის წევრებს შორის, ასევე პედაგოგებსა და მოსწავლეებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ატმოსფეროს უზრუნველყოფას. ამ მიზნითაა შექმნილი მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი.
სკოლაში განხორციელებულია და კვლავაც იგეგმება მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ერთობლივი ღონისძიებები – ექსკურსიები; სკოლაში შემუშავებულია კითხვარების ფორმები მშობელთათვის, რომელთა მეშვეობითაც მათ ეძლევათ საშუალება გამოხატონ საკუთარი აზრი სკოლაში არსებული მიმდინარე პროცესების შესახებ და წარმოადგინონ საკუთარი სამომავლო ხედვა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სტანდარტი დაკმაყოფილებულია

სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

დასტურდება:

- სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით;
- სკოლის მშობლებთან გასაუბრებით.

25.08.2017 წ.

ქუთაისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.